სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 9

ჩოხატაური 27 მარტი 2017 წელი

1ერთის მხრივ ააიპ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი: **ნატო ჯიბუტი** (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „ავთანდილ ლომთათიძე“** -ს (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2შესყიდვის ობიექტი.

2.2 მანქანის რეცხვა

(კლასიფიკატორის **CPV**კოდი 50112300)

საფუძველი: სახ. შესყიდვების სააგენტოს ბრძანება N 9. მუხლი 3 პირველი პუნქტის ა ქვეპუნქტი.

შესყიდვის მეთოდი: გამარტივებული შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება **შეადგენს 200(ორასი) ლარს.**

მიმწოდებლისათვის მომქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.

4.1 შესყიდვის ობიქტის მიწოდების საბოლოო ვადაა: 2017 წლის 25 დეკემბერი მარტი

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ჩოხატაური

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბერი

6. ობიექტის ხარისხი და გარანტია.

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

6.2 შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს ხარვეზები რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

6.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზების შესახებ.

6.4 შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება.

7.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირებას აწარმოებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების დროს უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია აუცილებელი პერსონალითა და ტექნიკური საშუალებებით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარება.

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. ცალკეულ შემთხვევაში შესაბამისი ექსპერტის მიერ.

8.2 ორგანიზაციის ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ყველა ხარვეზი.

8.3 მიღება ჩაბარების აქტთად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი.

9. ანგარიშწორების ფორმები, გრაფიკი, ვადები.

9.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშწორების ფორმა უნაღდო.

9.3 წინასწარი ანგარიშწორების შემთხვევაში მოხდება წარმოდგენილი საბანკო/სადაზღვეო გარანტიის შესაბამისად, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა უმეტეს --- % ოდენობით.

9.4 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბაკო გარანტიის ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შესრულების ვადას.

9.5 ანგარიშწორება შეიძლება განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად. მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

10. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორიელოს კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე: -საქართველოს კანონის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

10.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.